# აჭარის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით

აჭარის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვხატავთ უკიდურეს შეშფოთებას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, სრულ თანადგომას და მხარდაჭერას ვუცხადებთ იმ სტუდენტებს და ზოგადად, ყველა მოქალაქეს, ვინც თავს სექსუალური შევიწროების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევს.

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა სტუდენტი, ლექტორს სავარაოდო სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს, რაზედაც შესაბამისი განცხადებები სტუდენტთა მხრიდან გაკეთდა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ფაქტს ადეკვატური რეაგირება არც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და არც საგამოძიებო სტრუქტურების მხრიდან არ მოყოლია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოვუწოდებთ, ეთიკის კომისიაში მოიწვიონ განცხადებაზე ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პროცესის მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობის უზრუნველსყოფად. ასევე, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს განხილვაში სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

ამასთან, აუცილებელია, უნივერსიტეტმა, როგორც საჯარო დაწესებულებამ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სასწრაფოდ შეიმუშავოს დისკრიმინაციის აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმები და უზრუნველყოს მათი შესრულება.

მოვუწოდებთ, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს დროულად იმსჯელოს საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე და

საზოგადოებას კოლეგიური, წარმომადგენლობითი ორგანოს პოზიცია გაუზიაროს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, გაჟღერებული ბრალდებები არ არის საკმარისი საკრებულოს წევრისა და თანამდებობის პირის უფლებემოსილებების შესაჩერებლად, თუ გადაწყვეტილებას ამაზე თავად ბრალდებების ადრესატი არ მიიღებს, თუმცა აუცილებელია, რომ ქალაქის საკრებულო ცალსახად გაემიჯნოს ყოველგვარი ძალადობის მცდელობას,

სამართალდამცავ უწყებებს მოვუწოდებთ საქმის დროული, ეფექტური და გამჭირვალედ გამოძიებისაკენ არამარტო 2019 წლის 21 მაისს გამოვლენილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით, არამედ სხვა ანალოგიური ხასიათის გამოუძიებელ საქმეებთან დაკავშირებითაც.

**ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები:**

1) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ბათუმის ფილიალი

2) საზოგადოებრივი განვითარების აკადემია

3) დემოკრატიის ინსტიტუტი

4) სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

   საზოგადოება

5) დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი

6) თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი

7) ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის

8) თანადგომა